



13.60

ნ. გ. ფირცხალავასი

პარაზიტის ძივნაში



წიანგი სისტემატურად დებულობს პასუხებს გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებსა და კარიკატურებზე. მისი სურვილია მკითხველებმა იცოდნენ, თუ რა ბედი ეწია 1960 წელს დაბეჭდილ კრიტიკულ მასალებს. ამიტომ აქვეყნებს ზოგიერთ კრიტიკულ ფელეტონსა და კარიკატურაზე მიღებული პასუხების შინაარსს.

**ჯამბაზობა დამთავრებულია**

მკითხველებს კარგად ახსოვთ წერილი, რომელიც წიანგმა დაბეჭდა მიმდინარე წლის მე-15-ნომერში სათაურით — «ჯამბაზი სვანეთიდან».

კავშირგაბმულობის მესტიის რაიონული კანტორის უფროსი ამხ. ზ. გელდანი გვწერს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდნენ. ჭუბურის საფოსტო განყოფილების უფროსს გოშთელიანს, რომელზედაც წიანგი დიდ იმედებს ამყარებდა, როგორც ცირკის მომავალ მსახიობზე, უკანასკნელი ფოკუსი არ გამოსვლია. ჩატარებული ცდებისათვის, რაც იმაში გამოიხატა, რომ დროულად არ გადასცა დანიშნულებისამებრ ფულის ბარათი და დეპეშები, გოშთელიანისთვის დაუდვიათ ადმინისტრაციული სასჯელი.

წიანგი ფიქრობს, რომ ჯამბაზობა დამთავრებულია და გოშთელიანი მომავალში არ გაიმეორებს ისეთ საცირკო ნომრებს, რომელიც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს.

**ნახევრალაქოვანი მთლიანად აქუვავდა**

მიმდინარე წლის აგვისტოში წიანგმა გამოაქვეყნა წერილი — «კიბერნეტიკა გვიშტიბში», რომელიც ეხებოდა წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის კავშირგაბმულობის განყოფილებაში დად-



გმულ ავტომატური სატელეფონო მოწყობილობის უმოქმედობას.

კავშირგაბმულობის წყალტუბოს რაიონული კანტორის უფროსი ამხ. გ. იამანიძე

გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა.

მიღებული ზომების შედეგად გვიშტიბის ნახევრად ავტომატური სატელეფონო მოწყობილობა ამჟამად ნორმალურად მუშაობს და მისი მოვლისათვის მიღებულია საჭირო ღონისძიება.

წიანგს მიაჩნია, რომ ეს პასუხი არ იქნება ავტომატური და გვიშტიბის ნახევრადავტომატური სატელეფონო მოწყობილობა მომავალში ნორმალურად იმუშავებს.

**ალაჩხ ჭრის და ალაჩხ კერავს**

წიანგმა თავის მე-16 ნომერში დაბეჭდა ფელეტონი — «თვითონ ჭრის და თვითონ კერავს». მასში აღწერილი იყო, თუ როგორ გაუფუჭა მომხმარებელს კოსტუმის შესაკერად მიტანილი მატერია თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო კომბინატის ატელიეში (ატელიე №4, ილია ჭავჭავაძის პროსპექტი № 40) მკერავმა ა. გრძელიშვილმა.

კომბინატის დირექტორი ამხ. ყალიჩავა გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტი დადასტურდა, რისთვისაც მკერავი ა. გრძელიშვილი განთავისუფლ-



ბული იქნა სამუშაოდან. ხოლო № 4 მოდების ატელიეს საამქროს უფროსი ი. თულიანს მიეთითა.

წერილი დამუშავებული იქნა საჭიროდ თო კრებაზე და დაისახა საჭირო ღონისძიებები მუშაობის გასაუმჯობესებლად.

**კარიკატურა უხველა**

წიანგის მიმდინარე წლის მე-16 ნომერში დაბეჭდა აგრეთვე კარიკატურა წარწერით თბილისის რესტორან «დარიალში». კარიკატურის ტექსტში აღნიშნული იყო, რომ რესტორან «დარიალში» საკმაო რაოდენობით არა აქვთ დანა-ჩანგალი.



თბილისის რესტორნების ტრესტის დირექტორი ამხ. ბოკერია გვატყობინებს, რომ რესტორან «დარიალს» გამოეყო დამატებით დანა-ჩანგალი, მაგიდაზე გადასაფარებელი სუფრები, ღვინის ჭიქები (თუმცა არამცთუ «დარიალში», სხვა რესტორანშიც არ უნახავს წიანგს, რომ ვინმე ღვინოს ღვინის ჭიქებით სვამდეს.)

წიანგი მიესალმება ამ ღონისძიებას. თუმცა მის განკარგულებაში არის ცნობა იმის შესახებ, რომ რესტორან «სამადლოში», რომელიც გახსნის პირველ დღეებში, როგორც წესი, კარგად მუშაობდა, ახლა დანა-ჩანგლისა და გემრიელი კერძის შოვნა სამადლოდ არის ქცეული.



ნაბ. ღონისა

„სტილნი ბიკი“ სოფელში

„გამოჩენილ პიროვნებათა“ ენციკლოპედია

ნინაგმა წინა ნომერში დაბეჭდა საქართველოს „გამოჩენილ პიროვნებათა“ ენციკლოპედიის პირველი ტომი. ვებუბავთ მეორე ტომს და მკითხველებს ვაცნობთ იმ „სახელოვან“ შვილთა ვინაობას, რომელთა ამბავი პირველმა ტომმა ვერ დაიტია.

ოვანესი ვარიკ რუბენის-ძე დაიბადა 1929 წელს ქ. თბილისში, შილიციას ჯერჯერობით ვერ დაუდგენია, თუ სად ცხოვრობს ამჟამად ვარიკი, ასე რომ, ეს ქვეყნისათვის თავდადებული და თავზეხელაღებული მოყვასი ლამის დაეკარგოს კაცობრიობას. საერთოდ კი, ვარიკი უნდა ცხოვრობდეს თბილისში, თავის ოჯახში, პეროვსკაიას ქუჩაზე №14 სახლში, მაგრამ დაუდგარია და შინ ვერ აკავებენ.

რამ აიძულა ვარიკი, ველად რომ გაიჭრა? ეს „ველად გაიჭრა“ მთლად ზუსტი გამოთქმა ვერ არის, რადგან საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან მოდის ვარიკის საგმირო საქმეთა ამბები. უკანასკნელად ბათუმშიდან მოგვწვდა ხმა, სადაც ვარიკს ოქრომჭედლობა დაუწყია. საკუთარი ზარაფხანა გაუხსნია და კიდევ დაოჯახებულა ვინმე ყაზანელ ფუგაროვასზე. რა იცოდა საბრალო ფუ-

გაროვამ, რომ მისი ქორწინება ისეთივე ყალბი იყო, როგორც ის „ნიკოლოზის ოქროს თუმნიანები“, რომლებსაც ვარიკი სადაც „იატაქეშა ზარაფხანაში“ მალულად ამზადებს.

— მე ოქრომჭედელი ვარ, — ეუბნებოდა ფუგაროვას ვარიკი. — იქნებ ვინმემ ოქროს ფულები მოიტანოს. ეცადე, არ შეცდე, ათას ას მანეთზე მეტი არ გადაუხადო თითო ოქროს თუმნიანში, იმასაც დააკვირდი, ზედ თუ აწერია „ჩერვონოვ ზოლოტო“.

ერთ ნისლიან დღეს ფუგაროვას ვილატ უცნობი ეწვია, ჯიბიდან ოქროსაგით მზინავი სპილენძის „თუმნიანები“ ამოაჩხრიალა: — შენი ქმარი ოქრომჭედელი ყოფილა. ეს ოქროს ფულები დასჭირდებო, და ფუგაროვაც დატრიალდა, ნაწილი ფული თვითონ ჰქონდა, ნაწილიც მეზობლებში ისესხა და თაღლითს სამი ათას ოთხასი მანეთი მიართვა, ექვსასი მანეთი მისაცემი დარჩა და თაღლითიც დაპირდა, საღამოს შემოვიფიქრო. ფუგაროვას უხაროდა, რომ „ოქრო“ იმაზე უფრო იაფად იყიდა, ვიდრე „ქმარმა“ დაუბარა. საღამოს თაღლითის მაგივრად უმაგრესი თაღლითი — ვარიკი მოვიდა. ცოლს ნავაჭრი მოუწონა, წა-

ვიდა და აღარც გამოჩენილა. დარჩა ფუგაროვას მის მაგიერი ოთხი ცალი სპილენძის ნაჭერი, რომლებზეც ნიკოლოზ მეორის გაცვეთილი თავია გამოხატული.

მაგრამ ვარიკი არ გამქრალა. იგი ახლა ელიზავეტა ივანეს ასულ ვალუსტოვას ეწვია. ამას ბრილიანტისთვლიანი ოქროს ბეჭედი შესთავაზა ათას შვიდას მანეთად, დაუტოვა და წავიდა. ელიზავეტამ ბეჭედი იუველირის გაასინჯა და, რაკი დარწმუნდა, რომ აქ სიყალბეს არ ჰქონდა ადგილი, ვარიკს ათას ხუთასი მანეთი შეაძლია. ითაკილა ვარიკმა ამგვარი შევარება, გამოსტაცა ხელიდან ბეჭედი ელიზავეტას და ჯიბეში იკრა. მალე ისევ მოღბა და „დათმომ“ საქონელი ათას ხუთას მანეთად. მაგრამ სწორედ აქ დაეცა მენი ელიზავეტას: ვარიკს ჯიბიდან ნამდვილი ბეჭდის ზუსტი, ოღონდ ყალბი ასლი ამოუღია.

ასე ოსტატურად სკვლის ვარიკი ნამდვილს ყალბით და მარტო „ოქრომჭედლობაში“ კი არ არის დაოსტატებული, იგი საკუთარ სახესაც ცვლის, ხანდახან უღვაშს იბარსაც, ალბათ იმ პრინციპის გამო — შერცხენილი კაცი უღვაშს არცხენსო და, თუ უღვაში არ გაქვს, რაღას შეარცხენ!

ვარიკ ოვანესი კი ამბობს: მოვიპარსე, რომ არავინ მიცნოს.

ჩვენ ვარიკ ოვანესის ორ სურათს ვაქვეყნებთ — უღვაშის და უღვაშის, რომ ყველამ იცნოს.

ქუთათელაძე ნიკოლოზ ტროფიმეს-ძე — „სამტრედსკი“.

ეს ორმოცი წლის ჭაბუკი, რო-

გორც მეტსახელიდან ჩანს, სამტრედელია, მაგრამ ამ ათი წლის წინ დასახლდა გულაუთაში და იქ ეწევა საზოგადო მოღვაწეობას. ცოცხლეთ, საზოგადოება საკმაოდ ხალხმრავალი ჰყავს ნიკოლოზს. სამწუხარო ისაა, რომ ეს საზოგადოება სულ მცირეწლოვან და ახალდაუღვაშებულ ჭაბუკებისაგან შედგება. სამწუხაროა ჩვენთვის — ერისთვის, ნიკოლოზისთვის კი სასინარულთა და სარფიანი იმით, რომ ბანქოს უებრო მოთამაშე ნიკოლოზი ამ ჭაბუკებთან ფულს აგებს. მაშ მოგება რაღაშია? იმაშია, რომ წააგებს თუმანს ერთხელ, ორჯერ, თუნდ ხუთჯერ, შემდეგ ერთ ჯერზე მოუგებს ათ თუმანს, ას თუმანს და, ბიჭია და ნუ მოიტანს ფულს წაგებული,



არ მოუტანს და გადაურჩეს ნიკოლოზის მუჭარას! საიდან მოუტანოს ბავშვმა ფული? რა დიდი ჯამაგირი პატრონი ის არის?! მიდის ჭაბუკი და პარავს ფულს მშობლებს, შინაურებს, შემდეგ — უცხოს, იქნებ მამის ნაყიდი შარვალ-ხალათიც გაყიდოს და ფული ნიკოლოზს ჩააბაროს. ამ ფულთან ერთად ბარდება სინდისიც და ადამიანი გვეტლება ხელიდან.

ნიკოლოზი კი ხელს ითბობს. მითბობს, ვიდრე ხელს დასწავაგენენ!

კრაზანა



## მთარეალო კომუნის თებლო

ყველა საქმეს თავისი პროფესორი ჰყავს. პროფესორი ჰყავს მედიცინასაც და ბულალტერიასაც, ქიმიასაც და ჭიდაობასაც (ბალავაძე). ეთერ კუბრაშვილიც თავისი საქმის პროფესორია. მისი პროფესორია მოაჯადოვოს გულუბრყვილო ადამიანები, მათი ნდობა დაიმსახუროს და...

ეთერი ზოგს ბინის მიცემას შეჰპირდა, ზოგს — პატიმრის განთავისუფლებას, ზოგს — უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას, იმედიც ხომ რამედ ღირს და ეთერიც ამ იმედის საფასურს იღებდა. მაგრამ ეთერმა ვერც ბინა გასცა, ვერც უმაღლესში მოაწყო ვერავინ და ვერც პატიმარი განთავისუფლანა. სამაგიეროდ თვითონ განდა პატიმარი.

და აი, ეთერი ისევ სუფთა პაერზეა. — ბინა გინდათ? ოო, ცოტა ძნელი საქმეა, მე, მართალი გითხრათ, უკანონოდ ბინის გაცემა არ შემიძლია, სინდისი არ მომცემს ამის უფლებას, სჯობს ისევ ამხანაგურ ბინათმშენებლობას მოვიკიდოთ წელი, მხოლოდ ქვეყანას ნუ შემიყრით, ბოლოს და ბოლოს, მეზობლები უნდა ვიყოთ ერთმანეთის და, რა ვიცი რა ხასიათის ხალხთან გვექნება საქმე.

— ადგილი თუ არის ბინისათვის? — მორიდებულად შეჰკადრეს ეთერქალს. — ადგილი საუკეთესო, ქალაქის ცენტრში, ახლა მხოლოდ ფულია საჭირო. აბა ფულის გამო ვინ დააყოვნებდა საქმის დაწყებას, მრავალი წლის დანაზოგი პირველად აპრიამოვმა ჩაუთვალა ეთერს.

— აი ეს ოცდარვა ათასი, დანარჩენსაც მალე მოგართმევთ. აპრიამოვს გ. გარსევანოვი და ნ. ფოცხვერაშვილიც შეუერთდნენ.

— აი ეს ოთხმოცდაათი ათასი ორივესგან და, თქვენ იცით, თუ კარგად გილას მოგვემთ ბინებს.

შინაშვილებიც ეახლენ ეთერს ფულის კონებით.

— აი ეს ოცდაათ-ოცდაათი ათასი თითოსაგან, მხოლოდ... — დარდი ნუ გაქვთ, მესამე სართულზე ამომავალი მზის მხარეს სამსამოთხიან ბინას მოგცემო ერთმანეთის მეზობლად, ხომ იცით, კარგი მეზობელი კარგ მეგობარს ჯობია. — დააიძუდა ეთერმა შინაშვილები.

— აი, ეს ოცდაათი ათასი ჩემგან, ქალბატონო ეთერ, — გაუბედა ე. ერეშოვამაც.

— მესამე სართულზე, ამომავალი მზის მხარეს, სამი ოთახი, გაწყობთ? კარგი, გენაცვალე, აბა მოემზადეთ ახალი ბინის «დასასვენებლად».

— თქვენი ჭირიმი, ეთერ, მიიღე ოცდახუთ-ოცდახუთი ათასი თითოსაგან, — შევედრნენ ა. საყვარელიძე და გ. გორდაძე ეთერს. ეთერი ცოტა შეყოყმანდა, ცოტა გაინაზა და მერე მხედველობაში მიიღო მათი მდგომარეობა და ფული, როგორც იქნა, დაიტოვა. ასევე მხედველობაში მიიღო გ. ჯილაძის მდგომარეობა ეთერმა და ოცი ათასი მანეთი შეუერთა „ამხანაგობის“ ფულს.

თითქმის ძალით მიაჩეჩეს ათი ათასი და თექვსმეტი ათას ხუთასი ეთერს გ. შერეშოვამ და ზ. კოტრიკაძემ. ეთერქალსაც რაღა გზა ჰქონდა, დაიტოვა ფული და განარებული გაისტუმრა გ. შერეშოვამ და ზ. კოტრიკაძე.

ფული გროვებოდა, სახლი კი არ ჩანდა, ცოტა არ იყოს, დაქვედნენ „ამხანაგობის“ წევრები, და, ცოტა არ იყოს, დაუწყეს შეწუხება ეთერქალს. ეთერქალმაც არ დააყოვნა და „ამხანაგობის“ ფული სამას თოთხმეტი ათას ხუთასი მანეთი ისე გააქრო, რომ მის ასავალ-დასავალს კაციშვილმა ველარ მიაგნო. შემდეგ იფიქრა — ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო და თავის თავზე ისეთი უსახელო წერილი აფრინა საგამომიძებლო ორგანოებში, რომ ქვას განეთქავდა.

ახლა ეთერქალი „ბროლის ციხეში“ ზის სამი წლით და ყელი მოუღრეგბია, გულში ეცინება და თანაც უკვირს, რომ ამდენი გულუბრყვილო ხალხი ცხოვრობს თბილისქალაქში.

8. ხმაღამი



# 3265 აი სერუნი

ოცდარი წლის წინათ, როცა ვანას ჯერ მხოლოდ ორი კიტი ჰქონდა ამოსული, ჩვილმა ბიჭუნამ ორივე ხელი ჰქერისკენ გაიშვირა და მამას შესტირა:

— ნამ—ნამ...

გულჩვილმა მამამ ჩვილი აიტაცა და ჰკითხა:

— რა გინდა, ჩემო ხვალისდღეო დღევ?

— ნამ-ნამ-ნამ-ნააა...— შესტირა ვანამ და ცალი ხელი კისერზე მოუპოტინა.

ხან ერთი სათამაშო მიაწოდა მამიკომ, ხან—მეორე, მაგრამ ვანა ისევ „ნამ-ნამ“ განაგრძობდა და ცრემლიც დაეკიდა ლოყაზე.

„მუნჯის ენა დედამ იცისო“, ნათქვამია და ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ვანას დედამ შესძლო საიდუმლოების გახსნა:

— კისერზე უნდა, კაცო, კისერზე!

მამამ კისერზე შეისვა ჩვილი. ვანას ცრემლით გაბანილი სახე გაუბრწყინდა და სინარულით აჰყვივდა.

ამბავი რომ არ გაგვიგრძელებდეს, შეჯდა ვანა მამის კისერზე და დღესაც იქა ზის. დიახ დღესაც, როცა ოთხმოც კილოგრამს მაინც იწონის და საათში თექვსმეტი კილომეტრის გარბენა შეუძლია.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. და იცით რამდენი ოინი ჩაიდინა ვანამ მამის კისერზე?

ჯერ ისევ ათი წლის იყო ვანა-ბიჭი, რომ მასწავლებელს კარტოფილი ესროლა. ბოსტნეულთა წარმომადგენელი თავში მოხვდა აღმზრდელს და შლაპას ადგილი უცვალა.

გამოიძახეს სკოლაში ვანას მამა და მკაცრად უსაყვედურეს.

— ჰკვიანი ბიჭი მყავს, ჰკვიანი, ხომ შეეძლო, რომ ქვა ესროლა კარტოფილის მაგიერ. წარმოგიდგინიათ რა მოხდებოდა ასეთ შემთხვევაში?—თქვა მამამ და ვანას მიუბრუნდა,—ხომ მართალი ვარ, შვილიკო?

— ნამ-ნამ-ნამდვილად მართალი ხარ.—მიუგო ვანამ.

ბიჭს მამის ხათრით აპატიეს დანაშაული, მამის გავლენის პატივისცემით.

გაიარა დრომ. ვანა დამძიმდა. მამის გავლენამაც იმატა. ერთხელ ვანამ სკოლის დარაჯს ფეხი დაუდო და კინაღამ ნაწილ-ნაწილ ასაკრეფი გახდა. შეიქნა ამბავი. მაგრამ აქაც გავლენამ ითამაშა თავისი როლი.

დავაკაცდა ვანა ბიჭი, ცხვირქვეშ ღინღლი დააყარა. გამოიძახეს ვანას მამა პარტბიუროში და უსაყვედურეს, რომ მისმა ბიჭმა თავხედობის საზღვარი გადალახა და სიმთვრალეში მილიციელი გალახა,

— რა საზიზღარ ღვინოს უშვებს ეს დასაწვავი სამტრესტი!—თქვა მამიკომ,—ასე უნდა გააგიოს კაცი? კიდეც იღბალზე გადავრჩენილვარ.—განაგრძო მან,—ხომ შეიძლებოდა პირიქით მომხდარიყო, მილიციელს დაეღვინა ღვინო და ჩემი ბიჭი გაელახა.

ვანამ ინსტიტუტი დაამთავრა. დაამთავრო! ინსტიტუტი კი არა, მამა დაამთავრა. მოგესხენებათ რა ჯდება თითო ორიანის ხუთად გადაქცევა. რამდენი ნერვი, რამდენი ფუ... ფუი, დასწყევლოს დემეტმა. კინაღამ სრულიად დამავიწყდა, ვანას რომ სამუშაოდ გზავნიდნენ და მამა აყვირდა:

— მიშველეთ, ჩემს შვილს სამუშაოდ გზავნიან!

— მერე რა მოხდა, კაცი იმისაა, რომ იმუშაოს.— შებედეს ვანას მამას.

— შეუჩვევია ჩემი ვანულა, დაღლისთანავე ტყირბი უწყებს ტკივილს.—თქვა მამამ,—თუ გნებავთ მე ვიმუშავებ მაგის მაგიერ, ოღონდაც ვანას ნუ დასაქმებთ.—და მამა ვანას მიუბრუნდა,—ხომ გტკივდება, შვილო, ტყირბი?

— ნამ-ნამ-ნამუსიც კარგი საქონელია, ჩემი მუშაობა ვინ გაიგონა!

კიდეც გაიარა დრომ. დრო კი ერთადერთი გამგლელი იყო, რომელსაც ვანასი არ ეშინოდა. ვანამ ენა ამოიღვა და მამას მიმართა:

— ნამ-ნამ-ნამცეცი სიყვარული არა გაქვს ჩემი. რატომ ერთხელ მაინც არ მკითხავ რა მინდა?

— რა გინდა, შვილო, მამა გენაცვალოს?

— ცოლი!

— კიდეც? კიდეც რა გინდა?

— ნამ-ნამ-ნამეტანს არ გთხოვ, უკეთესი ჩაცმადახურვა და ფული მინდა.

ყველაფერი გაჩნდა, ყოველივე შესრულდა. მაგრამ მალე მამა აკრუსუნდა შვილის მაგიერ:

— ნამ-ნამ-ნამატიც მე გირჩინო?

— რა გიშავს. საკმაოდ სქელი კისერი გაქვს.—მიუგო შვილმა და მამის კეფიდან რომ ძირს არ გადმოშვებულყო, ქოჩორში ჩაავლო ორივე ხელი.

ახლა ვანას მამის კისერზე უკვე მთელი შთამომავლობა ზის: ვანა-ბიჭი, ამისი კაბაფურილა მუულე და ორად-ორი შვილიშვილი, რომელთაც პაპა ენაცვალოს, ამ ქვეყნად იმდენივე დარდი აქვთ, რამდენიც ვანა-მამიკოს.

— ჩამოგდე კისრიდან ეგ უქნარა, გულჩვილო მამიკონავ! შენ რომ კეფაზე ამოსული სიმსიენე უღამაზესი ხალი გგონია, ეგ ხორცმეტია, მეტი არაფერი!


## გ. ივანიშვილი



გაზაფხული



ზაფხული



შემოდგომა



ზამთარი


ნახ. გ. ფირცხალავასი

## უკონდუქტორო ტროლეიბუსი

ნახ. გ. ფირცხალავასი



— სად გაგონილა უკონდუქტორო ტროლეიბუსი, ვის ვეჩხუბო ახლა მე?



- 7<sup>30</sup> საათი—ადგომა
- 8 საათი—ვარჯიში
- 9 საათი—ჩაი, ყავა ან კაკაო
- 12 საათი—საუზმე
- 14 საათი—ლექცია
- 16 საათი—სადილი
- 17-დან 18 საათამდე—მკვდარი საათი
- 19 საათი—ვახშამი
- 20-დან 21 საათამდე—ცეკვები, მასობრივი გართობა, კინო, კონცერტი
- 22 საათი—მაწონი
- 23—საათი—ძილი

(სანატორიუმის შინაგანაწესიდან) ეპიგრამის მაგიერ.

მესაათეები მსოფლიოს მოსახლეობას ორ კატეგორიად ჰყოფენ: საათიანი და და უსაათო. მათთვის ყოველი საათიანი კაცი გარკვეულ ფულის ერთეულს წარმოადგენს, რადგან ტექნიკის დღევანდელ საფეხურზე ჯერჯერობით არ შექმნილა ისეთი საათი, რომელსაც რემონტი არ სჭირდება. მესაათეობა უძველესი პროფესიაა, იგი წარმოიშვა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ფართო მოხმარების საგანს მზის საათი წარმოადგენდა (ერთადერთი საათის სახე, რომელსაც არ სჭირდებოდა არც მომართვა და არც რემონტი).

**საათი დროის კონფერანსიეა, რომელიც ყოველ წაშში და წამის ყოველ მონაკვეთში აცხადებს სიცოცხლის რეპერტუარის ნომრებს.** იგი პატიოსან ბუღალტერსაც წააგავს, რომელიც ადამიანს კაპიკ-კაპიკ უთვლის განვლილ ქამს.

საათები არსებობს ჯიბის, მაჯის, მადლიარა, კედლის, ქუჩის, მაგიდის და ამ ბოლო დროს, საერთაშორისოც (იხ. კავშირგაბმულობის სახლთან). საათი შეიჭრა გამოთქმებში: «საათივით აქვს აწყობილი საქმე», ხოლო ადამიანის არსებობას წუთისოფელი შეერქვა, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი სიმღერებში: «თუ გინდა რომ დრო ატარო, ჭამო წუთისოფელი», «წუთისოფლის სტუმრები ვართ» და სხვა, ხოლო პოეზიაში იმდენი წამი, წუთი და საათია, რომ მა-



— დაიცა, ჩვენმა თავმჯდომარემ გაიაროს, ხომ გაგიგონია, წინა კაცი უკანა კაცის ხილიაო!

თი თითებზე ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. სპორტში კი მეათედ წამს შეუძლია ახალი მსოფლიო ჩემპიონი შვას სპრინტერთა შორის.

საათი ადამიანის შექმნილია, ასე რომ, იგი პირობითია. ეს პირობითობა კი ხშირად შეუსაბამობამდე მიდის. აი მაგალითიც:


საათი, რომელიც რეგულარულად მუშაობს და მხოლოდ რამდენიმე წამით აგვიანებს ან ჩქარობს, არასოდეს არ უჩვენებს სწორ დროს მაშინ, როდესაც საათი, რომელიც რეგულარულად გაჩერებულია, დღეღამეში ორჯერ უჩვენებს ზუსტ დროს.

ისმის კითხვა, რომელი საათი ჯობია, რომელიც არასოდეს არ უჩვენებს ზუსტ დროს და ყოველ წამს ტყუის, თუ საათი, რომელიც დღეღამეში მხოლოდ ორჯერ აღნიშნავს დროს უზუსტესად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მკითხველისათვის მიგვიჩნდება.



საათის შესახებ მრავალი საათი შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ მას მხოლოდ რამდენიმე წუთს დავუთმობთ. საათი არის საქმიანიც და უსაქმოც. საქმიანია რუსთაველ მეფოლადისათვის, უსაქმო—რუსთაველის პროსპექტზე უმიზნოდ მოხეტიალე «სტილნისათვის». გარკვეულ საათზე და წუთზე ვღებულობთ ხელფასს და გარკვეულ წუთსა და წამზე ვაბარებთ ოფიციალტს, გარკვეულ საათსა და წუთზე კომენდანტი გვპირდება სახურავის შეკეთებას და გაურკვეველ საათსა და წუ-

თამდე გრძელდება საქმის დაწყება, საათი ხშირად სასიამოვნოა, გარკვეულ საათზე, წუთსა და წამზე ვუნიშნავთ პაემანს საყვარელ არსებას, გარკვეულ წამებში ხდება შეხვედრა, ჩვენი არსებობა წამებთან მჭიდრო კავშირშია, თუნდაც ცოლის მოყვანაც კი წამების საქმეა.

**მოზილოსოფოსო ელემენტი**



ნახ. გ. ლომიძისა




შტამპსტო ხუბრობა

რედაქტორი ნ. შველიძე. | სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ხ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჯელიძე. | საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ყურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

გამომც. № 20. ხელმოწ. დასაბ. 3/XI-1960 წ. ქაღ. ზომა 70x108 1/8. 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. „ნიანგი“ კომუნისტი, ლენინის ქ. 14. შეფ. № 1900, უფ. 05728. ტირ. 40.000



სასიამოვნოა ასეთ დროს ცხოვრება, როცა დიდი ამბები ხდება, როცა ინგრევა კოლონიური წყობილება.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე 1960 წლის 12 ოქტომბერს.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ნახ. გ. ლომიძისა